

საქართველო:

ადამიანის უფლებები

რუსული კანონის პირისპირ



ადამიანის უფლებათა მდგომარეობა
უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის
რეინციფირებიდან 60 დღის განმავლობაში



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველო:

ადამიანის უფლებები რუსული
კანონის პირისპირ

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის
გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიცირებიდან 60 დღის
განმავლობაში

ივნისი, 2024

ფოტოები:
ლელო ბლაგონრაგოვა

აიწყო და დაკაბალონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში
აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შ ი ნ ა ა რ ს ი

კონტექსტი	4
I. ფიზიკური ხელშეუხებლობა	7
(1) სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებული პირების წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობა	7
(2) „ტიტუშკების რეიდი“ რუსული კანონის მოწინააღმდეგეთა მიმართ	9
II. მშვიდობიანი შიკრების თავისუფლება	10
(1) მშვიდობიანი დემონსტრაციების უსაფუძვლოდ დარბევა	10
ა. მთლიანი აქციის დარბევა ინციდენტური შემთხვევების საპასუხოდ	11
ბ. დარბევა გზის სავალი ნაწილის გათავისუფლების მიზნით	12
გ. დარბევა პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლების მიზნით	12
(2) მშვიდობიანი დემონსტრაციების წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების წესის დარღვევა	12
ა. სპეციალური საშუალებების გაფრთხილების გარეშე გამოყენება	12
ბ. სპეციალური საშუალებების დამიზნებით გამოყენება	13
გ. რამდენიმე საშუალების ერთდროულად გამოყენება	13
დ. დემონსტრაციებისთვის ტერიტორიის დატოვების შეზღუდვა	13
ე. არასაკმარისი სამედიცინო დახმარება	13
(3) პროცედურული გარანტიები	14
III. გამოსატვის თავისუფლება	15
(1) მედიააკრედიტაციის წესების გამოყენება	15
(2) ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები	16
IV. თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება	17
(1) ადმინისტრაციული სამართალწარმოება	17
(2) სისხლის სამართალწარმოება	18
V. რეპრესიების სხვა მეთოდები	19
(1) სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დევნის პრაქტიკა	19
ა. სატელეფონო მუქარები	19
ბ. კერძო საკუთრების დაზიანების ფაქტები	20
(2) ზეწოლა დასაქმებულ პირებზე	20
(3) რეპრესიების ფორმები საქართველოს რეგიონებში	20



კონტექსტი

2024 წლის 3 აპრილს საქართველოში მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ხელახლა წარადგინა, რასაც ქვეყანაში უწყვეტი, მასობრივი, მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა.¹ ასეთი კანონის მიღების მცდელობა მმართველ ძალას 2023 წელსაც ჰქონდა.² მაშინ ეს ინიციატივა მწვავე კრიტიკის საგანი გახდა სამოქალაქო საზოგადოებისა³ და საერთაშორისო პარტნიორების,⁴ მათ შორის, ევროკავშირის⁵ მხრიდან. 2023 წლის მარტში „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა, კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩაეგდო.⁶

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს შეასრულებდა.⁷ ევროკომისიამ 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში აღნიშნა, რომ **საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც ზღუდავს ან აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზა-**

4 | საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ

ციების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁸ კომისიამ ასევე ჩამოაყალიბა 9 დათქმა, რომლებიც საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ უნდა შეესრულებინა. მე-9 დათქმაში კომისიამ ხაზი გაუსვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას.⁹

მიუხედავად ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ იდენტური შინაარსის კანონპროექტი, მცირე ცვლილებებით, 2024 წელს, **საპარლამენტო არჩევნებამდე (2024 წლის 26 ოქტომბერი)** რამდენიმე თვით ადრე, კვლავ დააინიცირა.¹⁰ კანონი ითვალისწინებს დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ.¹¹ კანონის განახლებული ვერსიის მიხედვით, ასეთი ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციად“ უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ.¹² რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის.¹³ აღნიშნული ორგანიზაციები ექვემდებარებიან ინტენსიურ მონიტორინგს.¹⁴ კანონის საბოლოო ვერსიის მიხედვით, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის, ფიზიკური პირებისგან) მოითხოვოს ნებისმიერი საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) და პერსონალური მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაციის გადაცემა.¹⁵

2024 წლის 25 აპრილს 200-ზე მეტმა სამოქალაქო და მედია ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისინი არ აპირებენ ამ რეესტრში დარეგისტრირებას და კანონის ჩაგდებაამდე წყვეტენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.¹⁶

ამ კანონის ინიცირებას და მიღების პროცესს თან ახლდა **მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მკვეთრად ანტიდასავლური რიტორიკა**. მათ შორის, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლები აქტიურად ავრცელებენ შეთქმულების თეორიას „გლობალური ომის პარტიის“ შესახებ, რომელიც, თითქოს, ევროატლანტიკური სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას.¹⁷

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის თავიდან ინიცირებას და მიღებას კვლავ მოჰყვა **ძლიერი კრიტიკა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან**.¹⁸ მათ შორის, ევროკავშირისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა არაერთხელ მკაფიოდ დაადასტურეს, რომ კანონი ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.¹⁹ ასევე, 2024 წლის 21 მაისს გამოქვეყნებულ შეფასებაში ვენეციის კომისიამ გასცა არსებული ფორმით კანონის გაუქმების „ძლიერი რეკომენდაცია“, რადგანაც კანონის ფუნდამენტური ნაკლოვანებები მოიცავს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას გაერთიანების და გამოხატვის, პირადი ცხოვრების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.²⁰ საბოლოოდ, ეს ზეგავლენას მოახდენს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.²¹ ვენეციის კომისია ცხადად ასკვნის, რომ ეს კანონი იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის სტიგმატიზაციას, აყენებს მათ გაჩუმების და საბოლოო ლიკვიდაციის რისკის ქვეშ.²²

კანონის ინიცირებამ **ახალი საპროტესტო ტალღა** გამოიწვია, რომელიც, უკვე ორ თვეზე მეტია, უწყვეტად მიმდინარეობს.²³ მასობრივი სახალხო პროტესტი ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო და ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი კანონის, ასევე, ხელისუფლების მიერ საგარეო კურსის აშკარა ცვლილებით და ამ

კანონის მიღების გზით, ევროკავშირისგან დაშორების წინააღმდეგაა მიმართული. მსგავსმა კანონმდებლობამ რუსეთში უკვე გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტა.²⁴

მიუხედავად მასობრივი პროტესტისა, პარლამენტმა კანონპროექტი მესამე მოსმენით **2024 წლის 14 მაისს მიიღო**.²⁵ აღსანიშნავია, რომ საკომიტეტო მოსმენები დეპუტატების გაძევებისა და ცენზურის ფონზე მიმდინარეობდა.²⁶ 18 მაისს პრეზიდენტმა კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს დაუბრუნა (კანონპროექტს ვეტო დაადო).²⁷

2024 წლის 28 მაისს პარლამენტმა ვეტო დაძლია.

კანონპროექტის ინიცირებიდან დღემდე, ხელისუფლება ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს სამოქალაქო სივრცის შევიწროებას.²⁸ ადგილი აქვს:

- შეკრების თავისუფლების უხეშ დარღვევას;
- სამართალდამცველთა მხრიდან სისტემურ ძალადობას;
- უმადლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ძალადობის წახალისებას;
- სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების ინსტრუმენტალიზაციას პროტესტის მონაწილეთა დასაშინებლად;
- ასევე, აქციის მონაწილეების, პროტესტის მხარდამჭერების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების და მათი ოჯახის წევრების (მათ შორის, ბავშვების და ოჯახის ხანდაზმული წევრების) დაშინებას, მათ მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას და ფიზიკურ ძალადობას.²⁹



I. ფიზიკური ხელშეუხებლობა

გამოიკვეთა კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა მიმართ ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისა³⁰ და მესამე პირების მხრიდან.³¹ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ამასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიება მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება.

(1) სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებული პირების მიმართ ფიზიკური ძალადობა

გამოვლინდა სამართალდამცავების მიერ არასათანადო მოპყრობის არაერთი ფაქტი, რაც გამოინატა აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკურ³² და სიტყვიერ ანგარიშსწორებაში.³³ სამართალდამცავებმა სცემეს აქციაზე მყოფ პირებს,³⁴ მათ შორის, ქალებს,³⁵ ბავშვებს,³⁶ ჟურნალისტებს³⁷ და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს.³⁸

სამართალდამცავები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან დაკავებულებისას. გამოიკვეთა **დაკავების დროს არასათანადო მოპყრობის ფაქტები**. აღსანიშნავია, რომ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებას, უმეტესად, ჰქონდა ანგარიშსწორების სახე და არ უკავშირდებოდა უკანონო წინააღმდეგობის ან სამართალდარღვევის აღკვეთას. ზოგიერთ შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა ძალის გადამეტების იმდენად მძიმე მეთოდები გამოიყენეს, რომ რამდენიმე დაკავე-

ბულს, დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა³⁹ და გადაუდებელი ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.⁴⁰ სახალხო დამცველის განცხადებით, აქციაზე დაკავებული მოქალაქეების (200-ზე მეტი პირი) ნახევარზე მეტი მიუთითებს სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე.⁴¹ ზემოაღნიშნული დასტურდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქსელის ინფორმაციითაც, რომლის მიხედვით, ქსელის ადვოკატების მიერ მონახულებული 190-მდე დაკავებული პირიდან უმეტესობა მიუთითებდა, რომ ნაცემი იყო. საყურადღებოა, რომ დაკავებულთა გარკვეული ნაწილი თავს იკავებდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის მიმართვისგან, ვინაიდან არ ჰქონდათ გამოძიების სრულყოფილად, ობიექტურად წარმართვის და რაიმე კონკრეტული შედეგის დადგომის მოლოდინი.

საჯარო წყაროებში გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საპოლიციო ძალების წარმომადგენელთა მხრიდან აქტივისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ განხორციელებული ძალადობა, შესაძლოა, აღწევდეს დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ხარისხს. ამის მიუხედავად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქციებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე გამოძიებას აწარმოებს მხოლოდ 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომელიც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით ან იარაღის გამოყენებით.⁴² ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 31 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებით ამ სამსახურის გამოძიებლებისთვის დამტკიცდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს გამოძიებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭების გამარტივებას. აგრეთვე, ამ უწყების 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია ქმედების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცილების მნიშვნელობა. გამოძიების ეტაპზე არასწორად დაკვალიფიცირებული დანაშაული საფრთხეს უქმნის მსხვერპლის ნდობის ჩამოყალიბებას, გამოძიების პროცესში ჩართულობასა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებას“.⁴³

თუმცა, ზემოთ ხსენებულ დანაშაულებზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიებით თუ ვიმსჯელებთ, პრაქტიკაში ის გამოძიების სწორი კვალიფიკაციით წარმართვასა და, ამ გზით, დანაშაულის მსხვერპლთა ნდობის მოპოვებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს.

სპეციალურსაგამოძიებო სამსახურში სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე სხვადასხვა უწყებიდან და ცხელი ხაზის მეშვეობით, ჯამში, 138 მეტყობინება შევიდა, რომლებიც აქციის მონაწილეების უფლებების დარღვევას ეხებოდა.⁴⁴ საქართველოს პროკურატურის დადგენილებით კი, დაზარალებულის სტატუსი ამ დროისთვის მხოლოდ 10 პირს აქვს მინიჭებული.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო წყაროებითაც კი იყო შესაძლებელი სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირება, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას თითქმის ორი თვის შემდეგაც არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია აქციებზე მოძალადე საპოლიციო ძალების წარმომადგენლების გამოვლენისა და ბრალდების შესახებ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს უწყებები ეფექტიანად ვერ/არ ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას.

(2) „ტიტუშკების რეიდი“ რუსული კანონის მოწინააღმდეგეთა მიმართ

გამოვლინდა, რომ, ზოგ შემთხვევაში, კონკრეტული ადამიანები კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა მიმართ ფიზიკურად ძალადობენ.⁴⁵ ძალადობის ეს ფორმა ჰგავს ე.წ. **ტიტუშკების რეიდს** (*Titushky Raid*⁴⁶). ისინი აქციაზე სცემდნენ დემონსტრანტებს,⁴⁷ ხვდებოდნენ ორგანიზატორებს⁴⁸ და მათი ოჯახის წევრებს⁴⁹ სახლებთან⁵⁰ თუ ქუჩაში,⁵¹ სადაც მათ სასტიკად უსწორდებოდნენ. მესამე პირთა მხრიდან ძალადობა გამოვლინდა **სტუდენტების** მიმართაც. მაგალითად, 2024 წლის 18⁵² და 25 მაისს,⁵³ როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სტუდენტები ელოდებოდნენ ლექციის ჩასატარებლად მისულ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, **კონკრეტული პირები ფიზიკურად და სიტყვიერად გაუსწორდნენ სტუდენტებს**. სახალხო დამცველის შეფასებით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებსა და აქციის მონაწილეებზე თავდასხმის ფაქტებში იკვეთება პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით ადამიანთა ღვინის ნიშნები.⁵⁴



II. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

რუსული კანონის ინიცირებიდან დღემდე მიმდინარე აქციებზე საპოლიციო ღონისძიებები, უმეტესად, არ ატარებდა კანონიერ და პროპორციულ სახეს. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ამასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიება მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება.

(1) მშვიდობიანი დემონსტრაციების უსაფუძვლოდ დარბევა

საპროტესტო აქციების მიმდინარეობას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აკვირდება როგორც ადგილზე, ისე მედიის საშუალებით. ამ დროის განმავლობაში არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა, როდესაც საპროტესტო აქციამ

ძალადობრივი ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემურად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არაპროპორციულად ზღუდავს შეკრების თავისუფლებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც წესი, **ინციდენტურ შემთხვევებს მთლიანი აქციის ძალადობრივად მიჩნევისა და დაშლის საფუძვლად მიიჩნევს,**⁵⁵ რაც არ შესაბამეა შეკრების თავისუფლების დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტს.

ა. მთლიანი აქციის დარბევა ინციდენტური შემთხვევების საპასუხოდ

- სამართლებრივი წინაპირობების გარეშე დაიწყო მშვიდობიანი აქციის **დარბევა 16-17 აპრილის დამეს,** როდესაც დარბევას თან ახლდა საპოლიციო ძალების მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ სასტიკი ფიზიკური ძალადობა.⁵⁶
- უსაფუძვლო იყო დარბევა **30 აპრილი - 1-ლი მაისის** დამეს, როდესაც აქციის დაშლა დაიწყო პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლების მიზნით. ამ შემთხვევაში, არ არსებობდა შესასვლელების ბლოკირების მოტივით დემონსტრანტების დარბევის საფუძველი, რადგანაც შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ჰქონდათ მშვიდობიანი მიზნები და ქმედებები, ასევე, პარლამენტში დასრულებული იყო კანონის მეორე მოსმენით განხილვა, შესაბამისად, დემონსტრაცია საპარლამენტო სამუშაო პროცესს ხელი არ უშლიდა.⁵⁷ ასეთი საფუძვლის გამოკვეთის შემთხვევაშიც კი, არ იარსებებდა მთლიანი აქციის დარბევის სამართლებრივი წინაპირობა, რადგან მცირე ჯგუფის მიერ განხორციელებული ლოკალური ხასიათის სადავო ქმედებები ავტომატურად არ აქცევს სხვაგვარად მშვიდობიან აქციას ძალადობრივად.⁵⁸ მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საშუალებების გამოყენებით, რამდენიმე საათის განმავლობაში არბევდა საპროტესტო აქციას, მას შემდეგაც, როდესაც პარლამენტის შესასვლელები გათავისუფლებული იყო დემონსტრანტებისგან და აქციის მონაწილეები რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანად აგრძელებდნენ პროტესტს.⁵⁹
- ინციდენტური შემთხვევის გამო, მთლიანი აქცია დაარბიეს **1-2 მაისის დამესაც,** როდესაც, რამდენიმე პირის მიერ პარლამენტის რკინის ჭიშკრის გისოსებზე ჩაჭიდების და ხმაურით პროტესტის გამოხატვის საპასუხოდ, სპეციალური საშუალებების გამოყენება გადაიზარდა დემონსტრანტების ფართო მასების დარბევაში.⁶⁰ ხაზგასასმელია, რომ ამ დროისთვისაც პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი დასრულებული იყო, შესაბამისად, პროტესტი მისი ფუნქციონირების რაიმე ფორმით შეფერხებას არ იწვევდა.⁶¹
- **14 მაისის საპროტესტო აქციაზე კი,** რამდენიმე დემონსტრანტის მიერ პარლამენტის წინ აღმართული რკინის ჯებირის დაზიანების საფუძველით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქცია ძალადობრივად გამოაცხადა⁶² და მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევა დაიწყო,⁶³ რასაც შეკრების მონაწილეების მიმართ მძიმე ფიზიკური ძალადობა მოჰყვა.⁶⁴

ბ. დარბევა გზის სავალი ნაწილის გათავისუფლების მიზნით

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციის დარბევის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევს გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებასაც, მაშინაც კი, როდესაც, საპროტესტო აქციის მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიმღებლობა გამოიჩინოს გარკვეული შეფერხებების, მათ შორის, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების მიმართ.⁶⁵ ამ მიზეზით მოხდა საპროტესტო აქციის დარბევა გამირთა მოედანზე **2 მაისის საღამოს**,⁶⁶ ასევე **9 მაისის** ქავჭავაძის გამზირზე.⁶⁷

გ. დარბევა პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლების მიზნით

ზემოთ განხილული შემთხვევებიდანაც ჩანს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პარლამენტთან მიმდინარე აქციების დარბევის ერთ-ერთ საფუძვლად პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლებას მიიჩნევს,⁶⁸ მაშინაც კი, როდესაც აქციის მონაწილეები მშვიდობიანად მოქმედებენ შეკრების უფლების ფარგლებში და პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი არ ფერხდება (**30 აპრილი - 1-ლი მაისი**). პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლების მიზნით⁶⁹ დაიწყო დარბევა **2024 წლის 13 მაისის დილითაც**, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის შესასვლელი დაკავებული ჰქონდათ საპოლიციო ძალებს, და არა - დემონსტრანტებს, შესაბამისად, არ არსებობდა საპროტესტო აქციის დარბევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.⁷⁰

(2) მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების წესის დარღვევა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც წესი, აქციის დარბევას იყენებს ისეთ აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, როგორებიცაა წიწაკის სპრეი, ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი. გამოვლინდა ასევე რეზინის ტყვიების გამოყენების შემთხვევები.⁷¹ როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციები მშვიდობიან ხასიათს ატარებს და მათი დარბევა, შესაბამისად, დარბევის მიზნით აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენება უკანონოა. თუმცა, ასევე აღნიშნავს საჭიროებს ამ პროცესში საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების დარღვევა.

ა. სპეციალური საშუალებების გაფრთხილების გარეშე გამოყენება

გავრცელებული პრაქტიკაა სპეციალური საშუალებების გამოყენება **გაფრთხილების გარეშე**.

- **16 აპრილს** გაფრთხილება გაისმა **წიწაკის სპრეის** გამოყენების შემდეგ.⁷² აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც არ არსებობდა არც წიწაკის სპრეის გამოყენების, არც აქციის დაშლის საფუძველი.⁷³
- **30 აპრილსა და 1-ელ მაისს წყლის ჭავლი** გამოიყენეს ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ მიეცათ გონივრული ვადა გაფრთხილებაზე რეაგირებისთვის.⁷⁴ გაფრთხილება არ უძლოდა წინ **ცრემლსადენი გაზის კაფსულების** სროლას.⁷⁵ რაც შეეხება **რეზინის ტყვიებს**, მიუხედავად 30 აპრილი - 1-ლი მაისის, ასევე, 1-ლი - 2

მაისის ღამის აქციებზე მათი გამოყენების მტკიცებულებებისა,⁷⁶ შსს ამ ფაქტს საერთოდ უარყოფს.⁷⁷

ბ. სპეციალური საშუალებების დამიზნებით გამოყენება

- **16 აპრილს,**⁷⁸ ასევე **30 აპრილის ღამეს**⁷⁹ და **14 მაისის**⁸⁰ საპროტესტო აქციებზე გამოვლინდა **წიწაკის სპრეის** ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ახლო მანძილიდან, დამიზნებით გამოყენების შემთხვევები.
- **30 აპრილი - 1-ლი მაისის** ღამეს საპოლიციო ძალები **დამიზნებით** ისროდნენ ცრემლსააღენი გაზის კაფსულებს. გარდა ამისა, ისინი მშვიდობიან დემონსტრანტებს სახის არეში დამიზნებით ესროდნენ, სავარაუდოდ, რეზინის ტყვიებსაც.⁸¹
- **1-ლი - 2 მაისის ღამეს** გამოვლინდა **რეზინის ტყვიების ახლო მანძილიდან, სავარაუდოდ, დამიზნებით სროლის ფაქტები სასიცოცხლო ორგანოების (სახის, მუცლის არის) მიმართულებით** ან/და იმ პირთა მიმართ, რომელთაგანაც არ მომდინარეობდა საფრთხე.⁸² ასევე, დაფიქსირდა ცრემლსააღენი გაზის კაფსულების სროლა სახურავიდან ქვემოთ, მშვიდობიანად მდგომი ხალხის მიმართულებით რუსთაველის გამზირზე, რაც არღვევს ცრემლსააღენი გაზის კაფსულების გამოყენების წესს და, ცხელი კაფსულის მოხვედრის შემთხვევაში, ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შეუქცევადი დაზიანების საფრთხეს.⁸³

გ. რამდენიმე საშუალების ერთდროულად გამოყენება

30 აპრილი - 1-ლი მაისის ღამეს სპეციალური დანიშნულების რაზმი ერთდროულად იყენებდა რამდენიმე სპეციალურ საშუალებას, მათ შორის, **წყლის ქავლს, რეზინის ტყვიებსა და ცრემლსააღენი გაზს.**⁸⁴ ეს სპეციალური საშუალებები ერთდროულად გამოიყენებოდა **1-ლი - 2 მაისის ღამის აქციის** დარბევის დროსაც.⁸⁵

დ. დემონსტრანტებისთვის ტერიტორიის დატოვების შეზღუდვა

30 აპრილის ღამეს პარლამენტის უკან აქციის დარბევასა, პროტესტის მონაწილეთა ინფორმაციით, მათ **არ ჰქონდათ საკმარისი სივრცე ტერიტორიის დასატოვებლად** და იმ ადგილიდან გასარიდებლად, სადაც საპოლიციო ძალები წიწაკის სპრეის იყენებდნენ.⁸⁶

ე. არასაკმარისი სამედიცინო დახმარება

30 აპრილი - 1-ლი მაისის საპროტესტო აქციის მონაწილეთა ინფორმაციით, აქციის დარბევის საწყის ეტაპზე მობილიზებული სასწრაფო დახმარების ჯგუფების რაოდენობა, დაშავებულთა რაოდენობასთან შედარებით, არაპროპორციულად დაბალი იყო.⁸⁷

(3) პროცედურული გარანტიები

შეკრებისა და მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, რომელსაც ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი. მასში აისახება მონაცემები: ა) სპეციალური ღონისძიების განხორციელების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ; ბ) სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების თაობაზე; გ) პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ; დ) გადაადგილების მარშრუტების თაობაზე, რომელთა საშუალებითაც, მონაწილეებს ექნებათ დაკავებული ტერიტორიის სწრაფად და თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა; ე) არსებულ რისკებთან დაკავშირებით; ვ) საჭირო სპეციალური საშუალებების და აღჭურვილობის შესახებ.⁸⁸ **ამ დროისთვის უცნობია, არსებობდა თუ არა ასეთი სამოქმედო გეგმა ზემოთ ხსენებულ შემთხვევებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციების თაობაზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საჯარო განცხადებები არ შეიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ ამ სამოქმედო გეგმის გამოთხოვნის შესახებ.**⁸⁹ ამასთანავე, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს სტანდარტის⁹⁰ საწინააღმდეგოდ, სპეცრაზმელები არ ატარებენ რაიმე ამომცნობ ნიშნებს, რაც გამოძიების პროცესში შესაძლებელს გახდიდა სამართალდამრღვევი სპეცრაზმელის იდენტიფიცირებას.⁹¹

აღსანიშნავია, რომ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საჯარო განცხადებების მიხედვით,⁹² გამოძიება ყველა შემთხვევაში მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს,⁹³ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დემონსტრანტი⁹⁴ დაექვემდებარა სავარაუდო წამებას (სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლი)⁹⁵ ან დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას (სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლი).⁹⁶



III. გამოსატვის თავისუფლება

მედიის წარმომადგენელთა გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წინა წლებში⁹⁷ დაწყებული ტენდენცია რუსული კანონის ინიცირების შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა. კიდევ უფრო გახშირდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ხელშეშლის შემთხვევები. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ამასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიება მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება.

(1) მედიააკრედიტაციის წესების გამოყენება

გაგრძელდა მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის⁹⁸ გამოყენების მანკიერი პრაქტიკა⁹⁹ და, მსგავსად წინა წლისა,¹⁰⁰ საქართველოს პარლამენტში რუსული კანონის განხილვის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე კვლავ შეეზღუდათ შესვლა ონლაინ და ბეჭდური მედიის, ასევე რადიოს აკრედიტებულ ჟურნალისტებს.

- **2024 წლის 8 აპრილს** საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის შესაძლებლობა მხოლოდ რამდენიმე ტელევიზიის ჟურნალისტს მიეცა.¹⁰¹
- **14 აპრილს** კი, პარლამენტის თავმჯდომარემ აამოქმედა ე.წ. „ყვითელი დონე“ და ონლაინ მედიის აკრედიტებულ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტში შესვლა შეუზღუდა.¹⁰²

(2) ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები

კანონის ინიცირების შემდგომ **საპროტესტო აქციებზე გამოვლინდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები**. ქვემოთ მოცემული შემთხვევები არის ბოლო წლების განმავლობაში დაწყებული ტენდენციის ნაწილი, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაუარესდა საქართველოში მედიაგარემო და კიდევ უფრო განშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის, მათ პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფაქტები.¹⁰³ აღნიშნულს პირდაპირ ახალისებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უმოქმედობა ან არაჯეროვანი მოქმედება ასეთი შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების კუთხით.¹⁰⁴

- **2024 წლის 16 აპრილს** აქციის გაშუქებისას შსს-ს წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ ონლაინ გამოცემების - „პუბლიკას“, „ტაბულას“ და „აპრილის“ ჟურნალისტებს.¹⁰⁵
- **2024 წლის 30 აპრილის** საპროტესტო აქციის გაშუქების დროს სპეცრაზმმა ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ ჟურნალისტების - ლიკა ზაკაშვილისა და მამუკა მგალობლიშვილის წინააღმდეგ წიწაკის სპრეი გამოიყენა.¹⁰⁶ გარდა ამისა, სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა ონლაინ გამოცემა „აიფაქტის“ ჟურნალისტ რობი ზარიძეს,¹⁰⁷ ასევე „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტ ნანუკა ქაჯაიას და ოპერატორ დავით ბერაძეს.¹⁰⁸
- შსს-ის წარმომადგენელმა **14 მაისის** აქციის გაშუქებისას გამოცემა „ინდიგოს“ ჟურნალისტს მცირე ზომის კამერა წაართვა და პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალა. ასევე, სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა „ინტერპრესნიუსის“ ფოტორეპორტიორ გიორგი ჟამერაშვილს.¹⁰⁹

IV. თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება

(1) ადმინისტრაციული სამართალწარმოება

2024 წლის აპრილი-მაისის პერიოდში „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს, საიას ინფორმაციით, დაახლოებით 210-მდე პირი დააკავეს.¹¹⁰ მათთან მიმართებით მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა. უსაფუძვლო ადმინისტრაციული დაკავებები ემსახურება საპროტესტო აქციის მუხტის ჩახშობას და მოქალაქეების დაშინებას.

დაკავებულთა უფლებრივი კუთხით პრობლემური იყო იმ დაკავებულების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომლებიც სამართალდამცველებს პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებაში გადაჰყავდათ, რადგან ადვოკატისა და ოჯახის მხრიდან დროულად ვერ ხერხდებოდა მათი ადგილსამყოფლის დადგენა. რამდენიმე შემთხვევაში, დაზიანებების მქონე დაკავებულები სამედიცინო დაწესებულებებში სამართალდამცავი პირების მიერ მიყვანილ გადაუდებელ პაციენტებად არ დაარეგისტრირეს. ასეთ დროს დაკავებულებს თავად უწევთ მკურნალობის გარკვეული ხარჯების დაფარვა. ამასთანავე, ზოგიერთ საქმეში გამოიკვეთა, რომ **დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებების დეტალურ აღრიცხვას არ აწარმოებენ**, რაც პრობლემურია, მათ შორის, გამოძიების სათანადოდ წარმართვისთვის.¹¹¹ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქსელის ინფორმაციით, თბილისის იზოლატორების გარდა, **დაკავებული პირები გადაჰყავდათ სხვა ქალაქების იზოლატორებშიც** - გორში, ხაშურში, თელავსა და დუშეთში, რაც მათი მოძიების პროცესს კიდევ უფრო ურთულებდა ოჯახს, ადვოკატებსა და უფლებადამცველებს. გამოვლინდა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა **დაკავების ვადის დაუსაბუთებლად გახანგრძლივება**. შეინიშნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, უმეტესად, დაუსაბუთებლად გახანგრძლივოს დაკავების 24-საათიანი ვადა 48 საათამდე.

დაკავების საფუძვლად, ძირითადად, **წვრილმანი ხულიგნობა** (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი) და **პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა** (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი) მიეთითება. ასევე, 60-ზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტის (და ეს რიცხვი მზარდია) მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით (**შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა**). 20-მდე პირი (ეს რიცხვიც მზარდია), მათ შორის, ორთვლიანების (ბაიკერების) მესაკუთრეები დაჯარიმდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე (6¹) მუხლის საფუძველზე (**ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული**). ასევე, გამოიკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე, 150¹-ე, 150²-ე მუხლებით დაჯარიმების შემ-

თხვევები (სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, დობებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება და მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება).

(2) სისხლის სამართალწარმოება

საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე და, სულ, დაკავებულია 8 პირი. მიმდინარე გამოძიებების და დაკავებების კვალდაკვალ შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქციის მონაწილეების გამოკითხვას დაბარებას.¹¹² ამ მასშტაბით რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციების მონაწილეების გამოკითხვას დაბარება იწვევს ეჭვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოკითხვის სახით კიდევ ერთ სისხლის სამართლებრივ მექანიზმს იყენებს დემონსტრანტების დასამინებლად. აქციის მონაწილეთა მიმართ სისხლის სამართალწარმოება შეიძლება მიზნად ისახავდეს საპროტესტო აქციის მუხტის ჩახშობას და მოქალაქეების დაშინებას.

2024 წლის პირველ მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს, აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა მძიმე დაზიანება მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსმა თანამშრომელმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით (**პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა**) დაიწყო.¹¹³ **8 მაისს** ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით: სსკ-ის **222-ე მუხლით**, რაც გულისხმობს **სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას**, სსკ-ის **225-ე მუხლით**, რაც **ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას გულისხმობს** და ამავე კოდექსის **226-ე მუხლით**, რაც **გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას**, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, ან რომელმაც ტრანსპორტის, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია.¹¹⁴

9 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას აცნობა, რომ, პროკურატურასთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ბრალდებით, **6 პირი დააკავა**. აქვე ცნობილი გახდა, რომ შსს, სისხლის სამართლის კოდექსის **353-ე პრიმა მუხლიდან ერთად, გამოძიებას აწარმოებს სსკ-ის 187-ე მუხლითაც (ნივთის დაზიანება ან განადგურება).**¹¹⁵ **16 მაისსაც** გაგრძელდა დაკავებების სერია და შსს-მ 2 პირი დააკავა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ბრალდებით, რაც ჯგუფურად ნივთის დაზიანებას გულისხმობს.¹¹⁶

V. რეპრესიების სხვა მეთოდები

გარდა ფიზიკური ძალადობისა, გამოიყვება დემონსტრანტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, აქტივისტების დაშინებისა და მუქარის არაერთი მეთოდი, რაც რუსული კანონის თაობაზე მათ კრიტიკულ პოზიციას უკავშირდებოდა.¹¹⁷ 2024 წლის 31 მაისს საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დიმიტრი სამხარაძის საჯარო პოსტის შედეგად, ნათელი გახდა, რომ რეპრესიები ორგანიზებულია სახელმწიფოს მაღალი რანგის წარმომადგენლების მიერ და, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის შემწყნარებლური პოლიტიკის გათვალისწინებით, მათ მიერ არის მხარდაჭერილი. მაგალითად, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ დრომდე უშედეგო გამოძიების გარდა, ასევე საგანგაშოა ამ საკითხთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პოზიცია, რომელმაც სატელეფონო ზარების, როგორც რეპრესიის ერთ-ერთი ფორმის, საქმეების შესწავლა ისე დაასრულა (და მასზე რეაგირება საგამოძიებო ორგანოების უფლებამოსილებად შეაფასა), რომ არ გამოუკვლევია, მოხდა თუ არა ამ მონაცემების მოპოვება სახელმწიფო ბაზაზე წვდომის შედეგად.¹¹⁸

(1) სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დევნის პრაქტიკა

2024 წლის 31 მაისს საჯაროდ გავრცელებული განცხადებისა და ვიდეოს შედეგად, ნათელი ხდება, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატი დიტო სამხარაძე არის ერთ-ერთი ის პირი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და რუსული კანონის სხვა მოწინააღმდეგეების მიმართ ორგანიზებულ დევნას ახორციელებს. ეს გამოიხატება კონკრეტული ჯგუფის გამორჩევასა და მის მიმართ სხვადასხვა რეპრესიული ზომის (მაგალითად, სატელეფონო ზარები, კერძო საკუთრების დაზიანება) გატარებაში.¹¹⁹ სოციალურ ქსელში დიმიტრი სამხარაძე ავრცელებს ვიდეოების კოლაჟს, რომელშიც ჩანს, როგორ არის დაზიანებული სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ოფისები. სამხარაძე აღიარებს, რომ ეს ფაქტები მის მიერ არის ორგანიზებული და წერს: *[...] ერთმანეთის დანახვაც არ მოგინდებათ, ისე მოაქცევით! [...]*.¹²⁰

ა. სატელეფონო მუქარები

კანონის მოწინააღმდეგეებს, მათი ოჯახების წევრებს და ჟურნალისტებს აქტიურად ურეკავდნენ უცხო ნომრებიდან, აგინებდნენ აქციაზე მონაწილეობის გამო და ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით.¹²¹ ეს მოვლენაც პირდაპირ ებმის ე.წ. ტიტუმების რეიდის გამოყენების პრაქტიკას, იმ განსხვავებით, რომ მუქარა და დაშინება სატელეფონო გზით ხორციელდება. ზარები ხორციელდებოდა ქართული და უცხო ქვეყნის (მათ შორის, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, უკრაინა, მექსიკა და ა.შ.) სატელეფონო ნომრებიდან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შეფასებით, გამოიყვება ზარის განმახორციელებლის იდენტიფიკატორის გაყალბება (ე.წ. Caller ID Spoofing), რაც ხდება შემდეგნაირად: ზარის განმახორციელებელი ადრესატთან რეკავს რეალური ნომრის გამოყენებით, სპეციალური ინფრასტრუქტურის გავლით,

როდესაც რეალური ნომერი იცვლება არარსებული ანდა მითვისებული ნომრით. ადრესატთან დაკავშირებისას ზარის ინიციატორად აისახება არარსებული/მითვისებული სატელეფონო ნომერი, ხოლო რეალური ნომერი ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებისთვის დაუდგენელია.¹²² **საგანგამოა ამ საკითხთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პოზიცია, რომელმაც საკითხის შესწავლა ისე დაასრულა (და საქმეზე რეაგირება საგამოძიებო ორგანოების უფლებამოსილებად შეაფასა), რომ არ გამოუკვლევია, მოხდა თუ არა ამ მონაცემების მოპოვება სახელმწიფო ბაზაზე წვდომის შედეგად.**¹²³

ბ. კერძო საკუთრების დაზიანების ფაქტები

გამოვლინდა კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტებიც. დაზიანეს ავტომანქანები, საცხოვრებელ სახლებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებთან გააკრეს პლაკატები ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოსახულებებით, გააკეთეს სხვადასხვა მასტიგმატიზებული წარწერა,¹²⁴ ასევე, დაზიანეს ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც აქციის მონაწილეები იყენებდნენ.¹²⁵

(2) ზეწოლა დასაქმებულ პირებსზე

სამსახურიდან გაგდებით ემუქრებოდნენ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს,¹²⁶ ასევე აიძულებდნენ, სოციალურ ქსელებში მოეწონებინათ „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსების, კონკრეტულად, თბილისის მერის, კახა კალაძის მიერ გამოქვეყნებული პოსტები.¹²⁷ **23 აპრილს** ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენიდან მსახიობებმა, რომლებმაც დაამთავრეს სპექტაკლი ფრაზით - „რუსეთი ოკუპანტია. ჩვენი გზა ევროპაშია. არა რუსულ კანონს!“¹²⁸ - მიიღეს სასტიკი წერილობითი საყვედური თეატრის ადმინისტრაციისგან.¹²⁹

(3) რეპრესიების ფორმები საქართველოს რეგიონებში

სხვადასხვა წყაროდან საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუქარის შემცველი ზარები ასევე განხორციელდა რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ფილიალების, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოებისა და რეგიონული მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე მათი ოჯახების წევრებთან, მათ შორის, არასრულწლოვან შვილებთან.¹³⁰

ამასთანავე, საგანგამოა, რომ რუსული კანონის მოწინააღმდეგეთა მიმართ სახელმწიფო იყენებს სხვადასხვა რეპრესიულ მეთოდს, მათ შორის, სავარაუდოდ, მათ უზღუდავს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობას. საიას ერთ-ერთ რეგიონულ ოფისს მიმართა მოქალაქემ, რომელმაც მიმდინარე წლის აპრილში განცხადება შეიტანა მუნიციპალიტეტის მერიში და, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, სამედიცინო კვლევების დასაფინანსებლად ერთ-ჯერადი დახმარება ითხოვა. როგორც მოქალაქე განმარტავს, სიტყვიერად მაშინვე დაჰპირდნენ 500 ლარით დახმარებას, მაგრამ გადაწყვეტილების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1 თვეზე მეტი გავიდა, მას წერილობითი პასუხი დღემდე არ მი-

უღია. მისი თქმით, მანამდე მისმა ნაცნობებმა, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობაში არიან დასაქმებულნი, მას მოსთხოვეს, რომ არ გაეზიარებინა რუსული კანონის საწინააღმდეგო პოსტები. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სახელმწიფო რესურსს შერჩევით, მხოლოდ თავის მომხრეებზე ანაწილებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
განაგრძობს უფლებადარღვევების დოკუმენტირებასა და
დაზარალებული პირების დაცვას.

საია, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გამოავლენს და საზოგადოებას
მიაწვდის ინფორმაციას ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებიც
ძირს უთხრის დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური
სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს.

- 1 BREAKING: GD Reintroduces the Draft law on Foreign Agents, Civil.ge, 03.04.2024. <https://civil.ge/archives/589747>.
- 2 GYLA, People against Russian Law, The Assessment of the 7-9 March Assembly Dispersal and Related Facts of Human Rights Violations, 2023, pp 23-26, https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/People%20Against%20the%20Russian%20Law_eng-2.pdf.
- 3 RUSSIAN LAW IS NOT THE WILL OF GEORGIA, joint statement by CSOs, 21.02.2023, <https://gyla.ge/en/post/rusulikanoni-ar-aris-saqartvelos-archevani#sthash.7myZz5ZK.dpbs>.
- 4 Colomina: NATO is concerned about the passed draft law, 08.03.2023, <https://1tv.ge/lang/en/news/javier-colomina-nato-concerned-about-foreign-agents-draft-law-passed-in-1st-reading/>; Statement of the United Nations in Georgia on the draft Law on Transparency of Foreign Influence, 26.02.2-23, <https://www.undp.org/georgia/news/un-statement-on-draft-law-on-transparency-of-foreign-influence>; FINAL Note on foreign agents legislation_Georgia, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 25.07.2023, <https://bit.ly/44KaCY3>.
- 5 Georgia: Statement by the Spokesperson on the draft law on “transparency of foreign influence, 24.02.2023, https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-spokesperson-draft-law-%E2%80%9Ctransparency-foreign-influence%E2%80%9D_en.
